ახალი ხარაგაული

№329 (21), 29 აგვისტო, 2016 წ.

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი 12 სექტემბერს განახლდება



გასული სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისეთ სოფლებში, სადაც სკოლამდელი დაწესებულება არასდროს ყოფილა, ახალი საბავშვო ბაღები აშენდა. ხიდარი, წყალაფორეთი, ვახანი, ლეღვანი, ვარძია, მოლითი, ზვარე და ბორითი ის სოფლებია, სადაც პატარა აღსაზრდელები კომფორტულ და მოწესრიგებულ გარემოში სკოლისთვის ემზადებიან. იმისათვის, რომ ბაღები თანამედროვე სტანდარტებს კიდევ უფრო შეესაბამებოდეს, გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

2015 — 2016-მა სასწავლო წელმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სხვადასხვა სიახლითა და აქტივობით ჩაიარა. მოხდა ექთნებისა და მზარეულების გადამზადება. გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა „მხიარული სტარტები“ და სხვა არაერთი საინტერესო ღონისძიება. თუ როგორ წარიმართა გასული სასწავლო წელი და რა სიახლეებით შეხვდებიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლები ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ამ და სხვა კითხვებზე ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი გაერთიანების დირექტორს, ირმა სებისკვერაძეს, ვესაუბრეთ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

სოფელ ბორითში, ფაბრიკის უბანში, წყლის სისტემა მოეწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს. სოფელ ბორითში, ფაბრიკის უბანში, წყლის სისტემა მოეწყო. ამ უბნის მოსახლეობას წყლის პრობლემა წლებია აწუხებს, რომლის მოგვარებაშიც აქტიურად ჩაერთო მაჟორიტარი დეპუტატი, ქალბატონი მანანა ბარბაქაძე და გამგებლის წარმომადგენელი ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვალერი ბარბაქაძე. მათი ძალისხმევითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ფაბრიკის უბნის მოსახლეობის პრობლემა მოგვარდა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა და იგი ი/მ „გიორგი ტყემალაძემ“ შეასრულა. საერთო ჯამში წყლის სისტემის მოსაწყობად 3 484 ლარი დაიხარჯა.

სოფელ ღარიხევში მცირე გამავლობის ხიდი გაკეთდა

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ღარიხევში (ჭილოფის უბანში), მცირე გამავლობის ხიდი გაკეთდა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა და მისი საერთო ღირებულება 8052 ლარს შეადგენს. 18 აგვისტოს ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა, თენგიზ ჭიპაშვილმა, ახლად აგებული ხიდი პირადად მოინახულეს. შეგახსენებთ, რომ ჭილოფის უბანში არსებული ძველი ხიდი მოსახლეობის გადაადგილებისათვის საფრთხეს წარმოადგენდა.

ადგილობრივებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ სოფლისათვის ხიდის გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ამ ფაქტით გახარებული არიან და მადლიერებას გამოხატავენ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

როგორც ჩვენთან საუბარში ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი, განმარტავს, ჭილოფის უბანს წლების განმავლობაში ჰქონდა ხიდის პრობლემა.

„მოსახლეობა გახარებულია შესრულებული სამუშაოებით. ნამდვილად კარგი ხიდი გაკეთდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. თუმცა ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება და წინ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. მე და ჩემი გუნდი განვაგრძობთ ერთობლივ მუშაობას და ის პრობლემები, რომლებიც მუნიციპალიტეტშია, ეტაპობრივად აღმოიფხვრება. მაგალითად, თუ დღეს ბაზალეთში მოასფალტებული გზაა, მომდევნო წელს ასეთი გზა იქნება ლაშეში, საღანძილეში, სარგვეშში და ა.შ. არც ერთი სოფელი არ დარჩება უყურადღებოდ. მოასფალტებული გზა, წყალი და გაზი ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რომელიც აუცილებლად ყველა სოფელში იქნება,“ - აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ახალ შენობაში განთავსდა

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა. ბიბლიოთეკის ახალი შენობის რეაბილიტაცია გასულ წელს განხორციელდა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 92 223 ლარით დაფინანსდა. აქამდე ბიბლიოთეკა არასტანდარტულ შენობაში იყო განთავსებული, სადაც თანამშრომლებისა და მკითხველთათვის შესაბამისი პირობები არ არსებობდა.

ახლა ბიბლიოთეკა გაცილებით დიდ ფართში განთავსდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა. შენობაში ფუნქციონირებს სამკითხველო და საკონფერენციო დარბაზები. ბიბლიოთეკაში მომხმარებელი 27 000 წიგნიდან შეძლებს არჩევანის გაკეთებას.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ინოვაციების ცენტრი. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით მთელი ქვეყნის მასშტაბით ასეთი ტიპის დაწესებულებები 500 ბიბლიოთეკის ბაზაზე ამოქმედდება. ინოვაციების ცენტრის საპილოტე პროექტების განხორციელება ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო.

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, ნიკოლოზ მაჭავარიანის, თქმით, ბიბლიოთეკის რეაბილიტირებულ შენობაში გადასვლა, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, დიდი დამსახურებაა.

„ბატონ კობას დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკისთვის ახალი შენობის გარემონტებასა და მისთვის თანამედროვე ინვენტარის შეძენაში. ყოფილმა გამგებელმა აქტიურად იმუშავა პროექტის განსახორციელებლად. შენობა თითქმის დანგრევის პირას იყო. მოხდა ფართის სრული რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოგვეყო თანხები ახალი ინვენტარის შესაძენად და ბიბლიოთეკა ახლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. სამკითხველო დარბაზით ერთდროულად შეუძლია ისარგებლოს 50-მა მკითხველმა. ძალიან გახარებულია მთელი კოლექტივი და მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა,“ - განაცხადა ნიკოლოზ მაჭავარიანმა.

ხარაგაულში მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მშენებლობა გრძელდება

ხარაგაულის მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის გაგრძელების საფუძველი ის ოფიციალური წერილი გახდა, რომლითაც თანამდებობიდან გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე მელქისედეკს (ხაჩიძე), მიმართა.

წერილში ნათქვამია: „თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მარგვეთისა და უბისის ეპარქიის განვითარების ფონდში ჩარიცხულია 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი, დაბა ხარაგაულში მშენებარე საკათედრო ტაძრის გუმბათისა და გუმბათისპირა ფრთების მოწყობის სამუშაოებისთვის.

მინდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, და აგრეთვე, საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის თანადამფუძნებელი, მზად ვარ, დავეთანხმო და გავიზიარო ზემოაღნიშნული სამუშაოების შემსრულებელთან დაკავშირებით თქვენ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, პაატა გოგოლაძის, თქმით, ხარაგაულში საკათედრო ტაძრის მშენებლობის შეფერხების მიზეზი ის იყო, რომ ეკლესიის მშენებლობის ფონდი არასამართლებრივად იყო დაფუძნებული.

„როგორც მოგეხსენებათ, ბოლო დროს ხარაგაულში საკათედრო ტაძრის მშენებლობა ერთგვარი დავისა და გაუგებრობის მიზეზი გახდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეკლესიის მშენებლობის ფონდი არასამართლებრივად იყო დაფუძნებული. გამომდინარე აქედან, 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეკლესიის მშენებლობის დასასრულებლად გამოყოფილი 45 ათასი ლარი მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ანგარიშზე ჩაირიცხა. ჩვენ ახლაც ვფიქრობთ, რომ ფონდის არსებობაში გარკვეული იურიდიული ხარვეზებია, მაგრამ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული თემა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ გამგეობის მიმართ გარკვეული ბრალდებების საფუძველი გახდა, კობა ლურსმანაშვილმა გადადგა კომპრომისული ნაბიჯი და თანამდებობის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე ეპარქიას წერილით მიმართა. ამ ნაბიჯს მოჰყვა კიდევ ერთი პოზიტიური თემა - ჩვენ აღვადგინეთ „ერთლარიანი“ აქცია, რომელშიც, სურვილისამებრ, საჯარო სამსახურებთან ერთად ა(ა)იპ-ებიც ჩაერთვებიან. ძალიან სასიხარულოა, რომ გამგეობის თანამშრომლებმა აქციაში ჩართვისთვის ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოხატეს. ასევე აღდგება ყოფილი გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, დამკვიდრებული ტრადიცია, რაც ტაძრის მშენებლობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის მორიგეობით დასაქმებას გულისხმობს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ თემას გარკვეული ძალების მიერ კვლავ მოჰყვეს სხვადასხვაგვარი შეფასება. თუმცა ფაქტი ერთია, ხარაგაულში საკათედრო ტაძრის მშენებლობა გაგრძელდება, ტაძრის მშენებლობის ფონდი კი საქმიანობის იურიდიულ მხარეს, ვფიქრობ, მოაწესრიგებს და სამართლებრივ ჭრილში მოაქცევს“. - განმარტავს პაატა გოგოლაძე.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ 12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ

დასაწყისი პირველ გვერდზე

- ქალბატონო ირმა, როგორ მიმდინარეობდა გასული სასწავლო წელი საბავშვო ბაღებში?

- გასულ სასწავლო წელს, მუშაობა დამაკმაყოფილებლად სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამით მიმდინარეობდა. ეს არის მოდერნიზებული სასწავლო - სამუშაო სქემა, რომელიც ცოდნის შეძენასა და გამოყენებას ითვალისწინებს. დაცული იყო სასწავლო დღის რეჟიმი. წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება და პრეზენტაცია, ბაღები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში.

-ზოგიერთ საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. კონკრეტულად, რა სამუშაოები შესრულდა?

- ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღში გარემონტდა სამზარეულო, სათავსო, სამრეცხაო და ორი ჯგუფის სველი წერტილი; N2 ბაღში გარემონტდა სასწავლო და საძინებელი ოთახები, შეიცვალა იატაკი, ჭერი, დამონტაჟდა მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრები, მოწესრიგდა სველი წერტილები, მოხდა შენობის ფუნდამენტის გამაგრება და მოეწყო სანიაღვრე არხები. მოლითის ბაღში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა საძინებელს, სამზარეულოსა და საპირფარეშოს; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხევისა და მოლითის საბავშვო ბაღებს.რაც შეეხება ღორეშასა და წიფას, იქ საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებდა, მიმდინარე წელს მოხდა შესაბამისი შენობების გარემონტება და სულ მალე ამ სოფლებს ახალი საბავშვო ბაღები ექნებათ. ყველა ბაღის სამზარეულოში დამონტაჟდა გამწოვი, ხოლო სათავსოებში — საჰაერო ვენტილაცია; 4 ახლად აშენებულ ბაღში მოეწყო შეშის ცენტრალური გათბობა.

-როგორც ცნობილია, საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ალტერნატიული ბაღების“ პროექტს ახორციელებს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით და ადგილობრივი თვითმმართველობის პარტნიორობით ხორციელდება „ალტერნატიული ბაღების პროექტი“. საერთაშორისო ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკამ“ აღნიშნული პროექტის განხორციელება თავად შემოგვთავაზა. პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ორი ჯგუფი გაიხსნება - სოფელ ნადაბურსა და დაბის N2 საბავშვო ბაღებში. ნადაბურის ჯგუფი 16 აღსაზრდელისგან იქნება შემდგარი და მათ მხოლოდ ერთი აღმზრდელი, მარიამ ქველაძე, დღეში ოთხი საათის განმავლობაში გაუწევს მეთვალყურეობას. ჯგუფი 3-დან 5 წლამდე ასაკის აღსაზრდელებით დაკომპლექტდება. N2 საბავშვო ბაღში კი სკოლამდელი მზაობის ჯგუფით ის აღსაზრდელები ისარგებლებენ, რომლებმაც ასაკის გამო სკოლაში შესვლა ვერ მოახერხეს ანუ საუბარია იმ ბავშვებზე, რომლებსაც ექვსი წელი სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით უსრულდებათ. ასეთი კი ამ ეტაპზე 13 ბავშვია. N2 საბავშო ბაღის „ალტერნატიულ ჯგუფს“ მეთვალყურეობას აღმზრდელი, ინგა შველიძე, გაუწევს. „ალტერნატიული ბაღი“ ყველა საჭირო ინვენტარითა და საკანცელარიო ნივთებით საერთაშორისო ორგანიზაციამ მოამარაგა. სკოლამდელი მზაობის ცენტრში სასწავლო პროცესი ბასკოს პროგრამით წარიმართება. აღმზრდელების გადამზადება კი საერთაშორისო ორგანიზაციამ უზრუნველყო. აღსანიშნავია, რომ „ალტერნატიული ბაღი“ სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანების დაქვემდებარებაში შევა. სულ გაერთიანების დაქვემდებარებაში 14 საბავშვო ბაღია.“

-გასულ წელს რამდენიმე ახლად აშენებულ ბაღში გაჩნდა დამატებითი ჯგუფის გახსნის საჭიროება. რა მდგომარეობაა ამ კუთხით წელს?

- დამატებითი ჯგუფის გახსნას სათანადო ფართი სჭირდება. საუბარია ვახანში მეორე ჯგუფის გახსნაზე. იქ ბაღის გვერდით არის შენობა, რომელიც სკოლის საკუთრებას წარმოადგენს. არსებული შენობის დათმობა სკოლას უძნელდება, რადგან მასში სკოლისათვის საჭირო ინვენტარი ინახება. ამ ეტაპზე ველოდებით სამეურვეო საბჭოს განაცხადს, რომლის საფუძველზე სკოლა დათმობს აღნიშნულ შენობას. ამის შემდგომ ადგილობრივი ხელისუფლება ეკონომიკის სამინისტროს მისწერს, რომ შენობა გადმოვიდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე. თუ მოხდება ურთიერთშეთანხმება, ამ შემთხვევაში შენობა გარემონტდება და გადაეცემა გაერთიანებას. ყოველივე კი დამატებითი ჯგუფის გახსნის წინაპირობაა.

მეორე ჯგუფის გახსნის საჭიროება იყო ასევე სოფელ ვერტყვიჭალაშიც, რომელსაც დაემატა ჯგუფი. საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო ფართი, რომელიც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გარემონტდა.

-2016 წელს რამდენი აღსაზრდელი და თანამშრომელია სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში?

- 2016 წელს ბაღების გაერთიანების საშტატო რაოდენობა 182 შეადგენს, ხოლო ბავშვთა რაოდენობა - 600-მდე გაიზარდა. გასული სასწავლო წელი კი 165 აღსაზრდელმა დაამთავრა. აღსაზრდელთა საბუთების მიღება ჯერ არ დასრულებულა, იგი 1 სექტემბრამდე გრძელდება. ხოლო სასწავლო პროცესი 12 სექტემბერს განახლდება.

-და ბოლოს, რას ეტყოდით აღმზრდელ-აღსაზრდელებს?

- გაერთიანების თანამშრომლებს 2015-2016 წლებში გაწეული მუშაობისთვის მადლობას ვუხდი. სკოლამდელი აღზრდის ორგანიზაციას კი აღსაზრდელთა სიმრავლეს ვუსურვებ. მადლობას ვუხდი ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას გვერდში დგომისათვის. ვიმედოვნებ, ჩვენი აღზრდილი ბავშვები გვასახელებენ და წარმატებებს მიაღწევენ, რისთვისაც თითოეული თანამშრომელი დაუღალავად შრომობს. მჯერა, მათი შრომა მომავალშიც ნამდვილად ნაყოფიერი იქნება.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲡᲐᲚᲐᲨᲭᲠᲝ ᲠᲐᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲐᲠᲔᲚᲘᲡᲘᲡ „ᲮᲔᲠᲒᲘᲚᲖᲔ“ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

20 აგვისტოს მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საქართველოს „სალაშქრო რალის“ რეგიონალური ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატი ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნულ ტყე - პარკში, ხარაგაულში, მარელისის „ხერგილზე“ გაიმართა. მასში მონაწილეობა საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის მოლაშქრეთა გუნდებმა მიიღეს. ტურნირი „Geocaching“ პრინციპზე აგებული შეჯიბრია. თითოეული გუნდი ლაშქრობის მოყვარული ხუთი პირისგან იყო დაკომპლექტებული. გუნდებს დავალებული ჰქონდათ, გაევლოთ წინასწარ შერჩეულ ბილიკებზე და დამალული ნიშნულები GPS ნავიგატორის მეშვეობით ეპოვათ.

„ხერგილზე“ საქართველოს „სალაშქრო რალის“ რეგიონალურ ჩემპიონატს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, პაატა გოგოლაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ნუგზარ კანდელაკი, „ჰუმანითი ჯორჯიას“ წარმომადგენელი ნინო დარასელი და მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩემპიონატი აქტიურად და დაძაბულ რეჟიმში მიმდინარეობდა. გუნდებს არაერთი სირთულის გადალახვა მოუწიათ. საბოლოოდ კი საქართველოს „სალაშქრო რალის“ რეგიონალური ჩემპიონატის გამარჯვებული ფოთის მოლაშქრეთა გუნდი გახდა, რომელიც თასით დაჯილდოვდა. მეორე ადგილზე ასპინძის მოლაშქრეთა გუნდი გავიდა. ხოლო მესამე ადგილი ყვარლის მოლაშქრეთა გუნდმა დაიკავა. საპრიზო ადგილზე გასული გუნდის თითოეულ წევრს სიგელები გადაეცა. ჩემპიონატის ყველა მონაწილეს კი „ჰუმანითი ჯორჯიას“ წარმომადგენელმა, ნინო დარასელმა, პირველადი მოხმარების პაკეტი გადასცა.

ნუგზარ კანდელაკი - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი:

„თითოეულ გუნდს მადლობას გიხდით ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. ეს ტურნირი პირველი იყო, რომელიც ჩვენმა სამინისტრომ მოლაშქრეთა ფედერაციასთან ერთად დაგეგმა. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული ხარვეზები, რადგან პირველად ჩატარდა. მომავალ წელს კი „სალაშქრო რალი“ ბევრად უფრო ორგანიზებული და მასშტაბური იქნება. მადლობა ყველა მონაწილეს თავდადებისა და ვაჟკაცობისათვის. გამარჯვებულ გუნდს ვულოცავ და ვუსურვებ წარმატებებს.“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, პაატა გოგოლაძემ, მადლობა გადაუხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ჩემპიონატის ხარაგაულში, მარელისის „ხერგილზე“, ჩატარებისათვის. ასევე პატივისცემა გამოხატა მოლაშქრეების მიმართ და თითოეულ მათგანს წარმატებები უსურვა.

პროექტის შესახებ მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ანრი რობაქიძემ, ისაუბრა: „შედგა ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი პროექტი, რომლითაც კიდევ ერთხელ იამაყებს მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია. მადლობას ვუხდი ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რომელმაც საშუალება მოგვცა, ასეთი ღონისძიება ჩაგვეტარებინა. მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ფინალის „ხერგილზე“ ჩატარებისათვის. ვიმედოვნებ, რომ პროექტი მომავალში უფრო მასშტაბურად და ორგანიზებულად განხორციელდება და მეტად განვითარდება.“

ბერიკა თურმანიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორი:

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მთელ საქართველოს დავანახვეთ, რომ გვაქვს შესანიშნავი ფლორა - ფაუნა თუნდაც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე - პარკის სახით, რომელმაც ნებისმიერ აქტივობას შეუძლია, უმასპინძლოს. პროექტი ძალიან საინტერესოა, იგი დაფინანსებულია სპორტის სამინისტროს მიერ. ასეთი აქტივობები ხელს უწყობს, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის განვითარებას. უამრავ მოლაშქრეთა გუნდი იყო ჩამოსული, რომლებმაც ნახეს ჩვენი მთა, ჩვენი ბუნება, რომლითაც ისინი დაინტერესდნენ. სამომავლოდ გეგმავენ ფართომასშტაბიან ტურებს, რომელიც ხარაგაულში ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობით გაიმართება.“

საკუთარი შეხედულება და ემოციები გაგვიზიარა ჩემპიონატის გამარჯვებულმა, ფოთის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა, ბაქარ ერაგინმა:

„მადლობას ვუხდი სპორტის სამინისტროსა და მოლაშქრეთა ფედერაციას, რომლებმაც ძალიან ბევრი იშრომეს და ასეთი შესანიშნავი ტურნირი ჩაატარეს. ჩვენთვის, ფოთის მოლაშქრეთა გუნდისთვის, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. არის ულამაზესი ბუნება. პატივს უნდა ვცემდეთ ჩვენს ქვეყანას და უნდა ვიცნობდეთ მას. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი კი მზადაა მომავალ წელს „სალაშქრო რალის“ ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობისათვის. მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, მინდა გითხრათ, რომ უმშვენიერესი ბუნება და ადგილი გაქვთ.“

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის „სალაშქრო რალის“ რეგიონალური ჩემპიონატის ფინალს მიმდინარე წლის გამარჯვებული, ფოთის მუნიციპალიტეტი, უმასპინძლებს.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲚᲐᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

მოსწავლეობის წლები გამორჩეულია პიროვნების სულიერ ფორმირებაში. ამ პერიოდში იკვეთება მისი სამომავლო თვალთახედვა, ყალიბდება ადამიანებთან ურთიერთობის ის ჯანსაღი უნარი, რომელიც შემდგომ უადვილებს დაბრკოლებებთან ბრძოლას. ბუნებრივია, ამ გრძნობის გამოძახილია ის მადლიერება, რასაც შემდგომ აღზრდილი გამოხატავს თავისი მშობლიური სკოლის მიმართ. არ ივიწყებს თავის ტკბილ ბუდეს -ეფერება, ესათუთება.

ა/კ რკინიგზის ხარაგაულის N10 საშუალო (დღევანდელი N3 საჯარო) სკოლის აღზრდილია ნინო ვასილის ასული კიკნაძე, რომელიც თავისი ცხოვრებით სიამაყეა მისი აღმზრდელი სკოლისათვის, მისაბაძი მაგალითია მომავალი თაობისათვის. ნინო ძალიან სიტყვაძუნწია საკუთარ თავზე საუბრისას, მაგრამ მისი კეთილი სულის გამონაშუქი ნათელს ჰფენს მის მიერ ლამაზად განვლილ წლებს. კარგა ხანია, ნინო და მისი ოჯახი ევროპაში, სტრასბურგში, დამკვიდრდა. ნინო მუშაობს მსოფლიოს ერთ-ერთ ავტორიტეტულ ორგანიზაციაში და თავისი აღზრდითა და მრწამსით უცხოეთში ღირსეულად გამოხატავს თავის ქართველობას. ის არასდროს ივიწყებს თავის მასწავლებლებს, აღმზრდელ სკოლას, და მუდამ ცდილობს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მის სამომავლო ძლიერებაში. ამ ზაფხულს სტრასბურგიდან ჩამოს-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„საუკუნე მიგაქვთ მხრებით!...“

ვის არ ახარებს წლევანდელი ზაფხულის ოცდამეთერთმეტე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენთა წარმატება. 2 ოქროს, ერთი ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედლით გამდიდრდა ქართული სპორტის საგანძური!

მივესალმები და შვილების წარმატებას ვულოცავ: ლაშა შავდათუაშვილის (ბრინჯაო), ვარლამ ლიპარტელიანის (ვერცხლი), ლაშა ტალახაძის (ოქრო), ირაკლი თურმანიძის (ბრინჯაო), შმაგი ბოლქვაძის (ბრინჯაო), ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (ოქრო), გენო პეტრიაშვილის (ბრინჯაო) მშობლებს და ვუსურვებ, რომ არასდროს მოკლებოდეთ უნეტარესი ბედნიერება - შვილების წარმატებით გამოწვეული სიხარულის განცდა...

ამავდროულად ღრმა პატივისცემა მინდა, გამოვხატო ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების მწვრთნელთა მიმართ, რადგან ამ გამარჯვებაში განუზომელია მათი პროფესიონალიზმი, თავდადებული შრომა და ძალისხმევა.

***

განცდის გარეშე არაფერი იქმნება და ეს ჩემი პატარა წერილიც იმ დიდი ემოციებიდან იღებს სათავეს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს უსაშინელეს დღეებს უკავშირდება, როცა დაიბომბა ჩემი სტუდენტობის უსაყვარლესი ქალაქი გორი, რუსულმა აგრესიამ ააწიოკა შიდა ქართლის მშვიდობიანი მოსახლეობა. ულამაზესი, შრომა-გარჯით დამშვენებული სოფლებიდან დევნილებად აქცია მიწის მადლთან შესისხლხორცებული უამრავი ადამიანი. როცა ვიგონებ ხარაგაულელ ჭაბუკს, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერს,ზაზა გლუნჩაძეს, რომელიც იმ ავბედით დღეებში აგრესორთა მიერ შევიწროებული ქართლის ძირძველი მიწის დასახსნელად მხარში ედგა თანატოლებს და სწორედ 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში თანამებრძოლთა გადარჩენისას აფეთქებულმა ჭურვმა შეიწირა მისი ლამაზი სიცოცხლე...

***

საპირისპირო განცდა მაქვს და გვაქვს ამჯერად, 2016 წლის აგვისტოში. ბრაზილი-

ისაკენ, რიო-დე-ჟანეიროსაკენ იყო მიმართული თითოეული ჩვენგანის გულისყური. ოლიმპიადაზე ქართველთათვის ,,მედლების ათვლა“ ლაშა შავდათუაშვილმა დაიწყო, როცა ბრინჯაოთი აღინიშნა მისი საჭიდაო ხალიჩაზე გამოსვლა...

მაგრამ წინ თურმე კიდევ უფრო დიდი სიხარული გველოდა... გორელი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ოლიმპიური უმაღლესი ჯილდოს - ოქროს მედლის -მფლობელი გახდა და კიდევ მესამე სიხარული გორიდან, გენო პეტრიაშვილს ბრინჯაო არგუნეს...

რაც არ უნდა შავბნელი ზრახვები ჰქონდეთ მტრებს, ქართულ სისხლს, ქართულ ნიჭს ვერავითარი ბარიერი ვერ აკავებს და ყველგან მთელი სისავსით ხდება მისი გამოვლენა-გამობრწყინება.

ჰოდა, ნუ ჩამითვლით შოვინისტობად, თუ ძალიან გავიხარე, თუ ემოციებს ვერ დავძლიე და ტელევიზორს ვაკოცე, როცა გორელმა ლაშა შავდათუაშვილმა დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, რუს დენის იარცევს, გულის მხარეს გამოსახულ ხუთჯვრიან დროშაზე ხელის დადებით მიანიშნა და თავის მშობელი ქვეყნის უპირატესობა ამ ჟესტით აუწყა...

ნამდვილად საამაყო აქვთ ქართლის შუაგულს, გორსა და გორელებს, რომ შვიდი მედლიდან სამი სწორედ გორს ერგო: ლაშა შავდათუაშვილი (ქართველი ძიუდოისტი; 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, ოქროს მედლის მფლობელი; ევროპისა და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატების ოქროს მედალოსანი; ევროპის ჩემპიონი; ოლიმპიური ჩემპიონი.); გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი სტილის მოჭიდავე; ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოსა და ოქროს მედლის პრიზიორი; ევროპული თამაშების ბრინჯაოს მფლობელი; მსოფლიო ჩემპიონატზე ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი; ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს პრიზიორი. მის ანგარიშზე სულ 1 ოქროს და 5 ბრინჯაოს მედალია); განსაკუთრებული ინტერესით ველოდი ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ლონდონის (2012) ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი) სპორტულ შედეგს. მახსოვს რიო-დე-ჟანეიროში გამგზავრების წინ მისი ინტერვიუ „რუსთავის 2“-ის ჟურნალისტთან. რა თავშეკავება იკვეთებოდა თავის შესაძლებლობებში საკმაოდ დარწმუნებული ახალგაზრდის სიტყ-

ვებში. ვიგონებ, რა დიდი ტკივილი გამოაყოლეს ლონდონის ოლიმპიური თამაშებიდან. მართალია, ამ უსამართლობას მსაჯების დისკვალიფიცირება მოჰყვა, მაგრამ იმჯერად კუთვნილი შედეგი ხომ არ აისახა ლადოს სპორტულ ბიოგრაფიაზე...

... და 2016 წელი, ბრაზილია, საოცარი რიო-დე-ჟანეირო, „იანვრის მდინარე“, როგორც ამ ადგილს პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა უწოდეს 1502 წლის იანვარში... ელოდა ოცნების ასრულებას გორელი ყმაწვილი... ასე მგონია, იმ წუთებში, როცა ის იაპონელ რეი ჰიგუჩს შეერკინა, ყველა ქართული ჯვარ-ანგელოზის მადლი ჰფარავდა, თვით რიო-დე-ჟანეიროს კორკოვადოს მთაზე აღმართული „ქრისტე მხსნელის“ ოცდაათმეტრიანი სიმაღლის ქანდაკებაც ყველა ბრწყინვალე სხივს ლადოსკენ გზავნიდა...

„არის, ასრულდა ოცნება!“ ეს სიტყვები ჩამესმოდა, როცა ლადო ხინჩეგაშვილი თავის ბრწყინვალე გამარჯვებას შეეგება და საქართველოს ჰიმნის ფონზე ქართული დროშა მაღლა-მაღლა მიიწევდა... აქ, საქართველოში კი, ჩემს აღტაცებას ვუერთებდი გორში დიდ მონიტორთან და ვლადიმერის საცხოვრებელ კორპუსთან შეკრებილ გორელთა უსაზღვრო სიხარულს.

საბოლოოდ, ჩემი ემოცია ამ ლექსის სტრიქონებში დავაბინადრე:

რიო-დე-ჟანეიროს ქართველ გმირს, ვლადიმერ ხინჩეგაშვილს

სულაც არ აქვს მნიშვნელობა,
მე ვინა ვარ, ან ვინ გაქებს,
შენი ხოტბა, შენი ქება
გვმართებს ყველას-დიდს,
პატარებს...
შენ ქართველი ვაჟკაცი ხარ
შუა ქართლის გულიდან,
გვასახელე, ხოტბას გიძღვნი
ამოძახილს გულიდან.
ვეფხვის ბოკვერს შეგადარებ,
სისხლი გიდუღს ქართველის,
ბრაზილიამ მთელ სამყაროს
ამცნო შენი სახელი...
თუმც ლონდონმა არ დაგინდო,
არ გარგუნა ჯილდო ნაღდი-
რიო-დე-ჟანეიროში
ამაღლდი და გადიადდი...
მე მაგ ქალაქს შემოვევლე -
ჯილდო გიძღვნა შესაფერი,
დაინახა, წარმატებას
რომ ელტვოდი ნიჭით, რწმენით.

შრომით, გარჯით, მიზანსწრაფვით
შედეგი რომ არ აყოვნებს,
შენი მაგალითი მისცემს
ძალას მომავალ თაობებს...
დაილოცოს შენი კერა
შენი ფუძის ანგელოზით,
ლადო, ჩვენო სიამაყევ,
„საუკუნე მიგაქვს მხრებით!”

მაპატიოს ოლიმპიელმა... მწამს, ჭეშმარიტი პოეტები არ დაიშურებენ მისი გამარჯვების შესატყვის სტრიქონებს...

ძვირფასო ოლიმპიელებო!

თქვენ საამაყო თაობა ხართ ჩვენი დედაისტორიისა. ისტორიისა, რომლის ჩუქურთმასაც ესოდენ დიდი ოსტატობით კვეთდნენ თქვენი წინაპრები და რაოდენ საამაყოა, რომ ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის ახალგაზრდობამ, თქვენი სახით, კიდევ უფრო მეტი რუდუნებით გამოკვეთა ეს ჩუქურთმა...

„თქვენ საუკუნე მიგაქვთ მხრებით!...“

ჭეშმარიტად!

მწვანე შუქი თქვენს სამომომავლო გზებს!

გფარავდეთ ღვთისმშობელი!

მერი გიორგიძე,
ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი

პირველკლასელთა საპასუხო ჯარგი სწავლა და ყოფაქცევა იქნება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვლისთანავე მოინახულა თავისი აღმზრდელი კერა, ძალიან გაიხარა, როცა შეიტყო, რომ სკოლის კონტინგენტს წელს 21 პირველკლასელი შეავსებს. ქალბატონმა ნინომ პირველკლასელებს დედაენის ახალი სახელმძღვანელო გადასცა საჩუქრად.

მარინე ხვედელიძე - ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის დირექტორი: „ერთ თვეზე ნაკლები რჩება და ახალი სასწავლო წელი დაიწყება . 15 სექტემბერს ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის პირველ კლასში 21 თვალხატულა გოგო-ბიჭი პირველად შემოაღებს კარს და ცოდნისაკენ მიმავალ რთულ, ლამაზსა და საინტერესო გზას გაუყვება... პირველსავე დღეს მათ საინტერესო საჩუქარი ელოდებათ. N3 საჯარო სკოლის 1990 წლის კურსდამთავრებულმა, მშობლიურ სკოლაზე უზომოდ შეყვარებულმა, ნინო კიკნაძემ, ჩვენი სკოლის ყველა პირველკლასელს დედაენის ახალი სახელმძღვანელო უსახსოვრა.

ქალბატონი ნინო ჩვენი სკოლის დიდი ქომაგი და მეგობარია. მან გასულ სასწავლო წელს სკოლის საუკეთესო მოსწავლეები ექსკურსიით წაახალისა. წელს კი პირობა დადო, რომ ყველაზე საუკეთესო კლასს, წარჩინებითა და ყოფაქცევით გამორჩეულს, სასწავლო წლის ბოლოს დაუვიწყარ ექსკურსიას მოუწყობს.

გმადლობთ, ქალბატონო ნინო! და გვჯერა, ჩვენი სკოლის მოსწავლეები, როდესაც თქვენსავით წარმატებულები იქნებიან, როდესაც ხარაგაულის სახელს ჩვენი ქვეყნის გარეთ გაიტანენ, ისევე იზრუნებენ მშობლიურ სკოლაზე, როგორც- თქვენ!“

თამარ სხილაძე - მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პირველკლასელები მშობლიური ქართულის დაუფლებას სიყვარულის გრძნობით გულსავსე ქალბატონის, ნინო კიკნაძის, მიერ ნაჩუქარი დიდი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ დაიწყებენ. დარწმუნებული ვარ, მათთვის ეს იქნება ათვლის წერტილი. ამ საუკეთესო საჩუქრით შეუდგებიან ცოდნის მწვერვალებისაკენ სვლას: ნია, დაჩი, დავითი, ორი ბარბარე, ლუკა, გრიგოლი, სამი გიორგი, ორი ანა, ორი ნინი, თინათინი, საბა, ნინო, გურამი, ქეთევანი,ელენე, ნიკოლოზი...

მოსწავლეებისა და მათი მშობლების სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო და დავპირდე, რომ ჩვენი პატარები კარგი სწავლითა და ყოფაქცევით უპასუხებენ დეიდა ნინოს სიკეთეს.“

ნინო კიკნაძე: „მნიშვნელოვანი და ჩემდამი მადლობის გადასახდელი ჯერჯერობით არაფერი გამიკეთებია ჩემი სკოლისათვის. თუმც გარწმუნებთ, რომ მასთან და მის სასიცოცხლო ძალასთან - მოსწავლეებთან - ურთიერთობა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არის და იქნება.

როცა დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დავადექი, სწორედ მაშინ ვიგრძენი, თუ რა მადლი გამაყოლა ჩემმა სკოლამ. რა ბარაქიანი საზრდო მომცეს ჩემმა აღმზრდელმა პედაგოგებმა. როგორ შეიძლება, დამავიწყდეს ჩვენი კლასის დამრიგებლის, ქალბატონ მერი გიორგიძის, დედაშვილური ურთიერთობა. მისი უმთავრესი იარაღი მოსწავლის მიმართ დიდი სიყვარული იყო. მაგონდება შენიშვნისთანავე როგორი ტაქტით აგვარებდა მოსწავლეთა შორის უმნიშვნელო კონფლიქტსაც კი, რომ არ ჩამუქებულიყო, ჩვენს ხასიათში ცუდად არ ჩაზრდილიყო. მერი მასწავლებელმა ჩვენ სიყვარული, სიკეთის დაფასება და ურთიერთთანადგომა გვასწავლა. ესაა ყველაფერი, რაც, პირადად მე, ძალზე მიიოლებს ადამიანებთან ურთიერთობას ჩემს მიწაზეც და უცხოეთშიც...

მინდა, ამ ჩემს სათაყვანებელ კერაზე დაუხრელად ფრიალებდეს სიყვარულის, წინსვლის, წარმატების ალამი...“

ვუერთდებით ქალბატონი ნინოს კეთილ სურვილებს. წინსვლა-წარმატებას ვუსურვებთ მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებს, გამორჩეულად-პირველკლასელებს. თვით ნინოს კი იმ პოზიციებისა და ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლებას, რითაც ის ევროპის ულამაზეს ქვეყანაში სარგებლობს.

ეკა შავიძე

საღანძილის მოსახლეობის მოთხოვნები დაკმაყოფილდა

23 აგვისტოს სოფელ საღანძილეში მოსახლეობამ გზა გადაკეტა. ადგილობრივები სოფლის ცენტრალურ გზაზე მაღალი გამავლობისა და ტვირთამწეობის მანქანების გადაადგილებით გამოწვეულ გაუსაძლის მტვერს და ხმაურს, ასევე მდინარე ჩხერიმელას დაბინძურებას აპროტესტებდნენ. ისინი გზის გარკვეული მონაკვეთის ინტენსიურად მორწყვას მოითხოვდნენ. მათი განცხადებით, ჩინური კომპანია, რომელსაც გვირაბი გაჰყავს სოფელ ზვარეში, ვალდებულია, დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმები. შეგახენებთ, რომ ასევე რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა მდინარე ჩხერიმელა დაბინძურებულია და ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავს. დაიდო მდინარის წითელი შეფერილობის ფოტოები, რაც რეალობას მოკლებული იყო. მსგავსი ფერის ჩხერიმელა არასოდეს ყოფილა და სურათები, სავარაუდოდ, ფოტოშოპით იყო გაკეთებული.

აღნიშნული საკითხის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთო ადგილობრივი თვითმმართველობა. როგორც საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით კიკნაძე, აცხადებს, ადგილობრივი თვითმმართველობა აწარმოებს მოლაპარაკებებს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ჩინური კომპანიის წარმომადგენლებთან და მოსახლეობის მოთხოვნები აუცილებლად დაკმაყოფილდება.

24 აგვისტოს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის ინჟინერი, გიორგი ქაჯაია და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წამომადგენლები საღანძილის მოსახლეობას პირადად შეხვდნენ.

შეხვედრაზე გზის მორწყვის მოთხოვნასთან დაკავშირებით მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის ინჟინრის, გიორგი ქაჯაიას, ინფორმაციით სოფელში, 10 დღეში მოეწყობა სისტემა, რომლითაც მდინარიდან წყლის ამოტუმბვა და გზის მორწყვა მოხდება.

დავით კიკნაძის ინფორმაციით, აღნიშნულ სამუშაოებზე ორი ადგილობრივი დასაქმდება და მათ ხელფასს ჩინური კომპანია გადაუხდის.

რაც შეეხება მდინარის დაბინძურებას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების თქმით, სინჯები უკვე აღებულია და დასკვნა უახლოეს დღეებში გაეგზავნება ადგილობრივ თვითმმართველობას. მათივე განმარტებით, წყალი შეიცავს შეწონილ ნაწილაკებს, მაგრამ იგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებას არ წარმოადგენს. ამის გამო ჩინური კომპანია 51 000 ლარით დაჯარიმდება.

როგორც ჩვენთან საუბარში ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგი, გულნაზი ვეფხვაძე, განმარტავს, მდინარე ჩხერიმელაში აღმოჩენილი შეწონილი ნაწილაკებით რამე დაავადების ან ვირუსული ინფექციის განვითარება შეუძლებელია.

მოსახლეობის გაფიცვას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, პაატა გოგოლაძე, ეხმაურება და აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საქმის კურსშია და თუკი ჩინური კომპანია გარკვეულ ნორმებს არღვევს, ეს აუცილებლად გამოსწორდება.

„გარემოს დაცვის სამინისტრომ ორი წლის წინ ჩვენი მიმართვის საფუძველზე მშენებელ ჩინურ კომპანიას 93 000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა, რის შემდეგაც კომპანიამ ორი სალექავი დაამატა. წელსაც იყვნენ სამინისტროდან, ნახეს მდინარე ჩხერიმელა და მიმდებარე ტერიტორია, რის შემდეგაც დაიწყეს ზარალის დათვლა. დათვლის შემდეგ კომპანიას გარემოს დაცვის სამინისტრო ჯარიმას კვლავ დააკისრებს. რაც შეეხება მდინარის ფერს, რომელი ფოტოებიც სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა, ჩხერიმელა მსგავსი ფერის არასდროს ყოფილა,” - აცხადებს პაატა გოგოლაძე.

შეგახსენებთ, რომ მდინარე ჩხერიმელაზე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაული-ფარცხნალის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნა

ხარაგაული-ფარცხნალის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნა. მარშრუტი კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, შესრულდება. ტრანსპორტი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით დაინიშნა.

ხარაგაული - ფარცხნალის მიმართულებით სამარშრუტო ტაქსი რკინიგზის სადგურიდან იმოძრავებს.

რეისი დღეში ორჯერ - დილის 10:00 საათსა და საღამოს 15:30 წუთზე - განხორციელდება. ბილეთის ფასი - 30 თეთრი იქნება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა უსაფრთხო და კომფორტულ მგზავრობას გისურვებთ.

ტრადიციული ტურნირი „ქვიშის ფრენბურთი“ დასრულდა

25-27 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ტრადიციული „ქვიშის ფრენბურთი“ გაიმართა. ტურნირი „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ორგანიზებითა და გამგებლის მრჩევლის ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიპაშვილის, მხარდაჭერით ჩატარდა. „ქვიშის ფრენბურთში“ ყველა ადმინისტრაციული ერთეულის გუნდები მონაწილეობდნენ, რომლებიც ფრენბურთის მოყვარული ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. პირველობისთვის შეჯიბრება მდინარე ჩხერიმელას სანაპიროზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს დაბისა და ჩხერის გუნდები დაუპირისპირდნენ. ტურნირში გამარჯვება კი დაბის გუნდმა მოიპოვა.

„ქვიშის ფრენბურთის“ გამარჯვებულებსა და საუკეთესო მოთამაშეებს ტურნირის ორგანიზატორებისგან სამახსოვრო საჩუქრები, სიგელები და მედლები გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ „ქვიშის ფრენბურთი“ ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით უკვე მეოთხე წელია, ტარდება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 50 41 11/08/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N50/26

განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N50/26 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“.

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N50/26 განკარგულების N1 დანართით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად განსაზღვრულ თითოეულ ადგილზე საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილით.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N 50/26 განკარგულების N1 დანართით განსაზღვრულ სააგიტაციო მასალების გამოსაფენ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი)

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N50/26 განკარგულების N1 დანართით განსაზღვრულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს ორი ცალით;

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს აღნიშნული განკარგულების გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ინგა მაღრაძე
საკრებულოს თავმჯდომარე

ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ თბილისის „საბურთალო“ დაამარცხა

19 აგვისტოს ხარაგაულის მურთაზ და სოსო აბაშიძეების სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა გაიხსნა. ლიგის პირველი თამაში ხარაგაულის საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელასა“ და ხობის „კოლხეთს“ შორის გაიმართა. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

საქართველოს თასზე პირველი ლიგის მორიგი შეხვედრა კი ხარაგაულის „ჩხერიმელასა“ და თბილისის „საბურთალოს“ შორის 23 აგვისტოს სამტრედიის სტადიონზე გაიმართა. დავით ყიფიანის თასის გათამაშების 1/16 შეხვედრა „ჩხერიმელას“ გამარჯვებით 2:1 დასრულდა. გუნდს გამარჯვება ნიკოლოზ ჭკუასელისა და თემურ შათირიშვილის გატანილმა გოლებმა მოუტანა. ამ გამარჯვებით „ჩხერიმელა“ თასის გათამაშების მერვედფინალურ ეტაპზე გავიდა.

„ქუჩის კალათბურთი -2016“-ის გამარჯვებული გუნდი „GEORGIA“ გახდა

21 აგვისტოს ხარაგაულში „ქუჩის კალათბურთის“ ფინალი გაიმართა. ფინალში ერთმანეთს გუნდები „Georgia“ და „ღომეეთი“ დაუპირისპირდნენ. „ქუჩის კალათბურთი -2016“-ის გამარჯვებული გუნდი „Georgia“ გახდა. თამაშები კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელში, ომში დაღუპულთა მემორიალთან, მიმდინარეობდა და მასში 8 გუნდი მონაწილეობდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირის“ ორგანიზებითა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ქუჩის კალათბურთი ხარაგაულში უკვე 5 წელია, იმართება. წელს ჩემპიონატისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეძენილ იქნა ახალი ფარი. მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყო ასევე თამაშებისთვის მუსიკალური გაფორმება და განათება, ხოლო გამარჯვებული გუნდი „Georgia“ თასით დააჯილდოვა.

ორგანიზატორებმა პირველ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები, ხოლო ჩემპიონ „Georgia“-ს გარდამავალი თასი გადასცეს.

„ქუჩის კალათბურთი“ ხარაგაულში ფოიერვერკით დასრულდა.

ვახანში მერაბ არევაძის სახელობის ტურნირი გაიმართა

27 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში მერაბ არევაძის სახელობის ტრადიციული ტურნირი მოეწყო. შეჯიბრებები დოღში, მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში გაიმართა. ტურნირი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (უფროსი ირინე ჩხეიძე) და სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის მხარდაჭერით (დირექტორი დავით გელაშვილი) ჩატარდა. შეჯიბრება მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის მიმდინარეობდა, რომლებიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან იყვნენ წარმოდგენილნი. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შესრულებელი პაატა გოგოლაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ.

პაატა გოგოლაძემ მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს და დასძინა, რომ კარგი იქნება თუ მსგავსი ტიპის ღონისძიებები მუნიციპალიტეტის სხვა ზონებშიც გაიმართება. „დღეს, ჩვენ პატივს მივაგებთ ღირსეული პიროვნების, მერაბ არევაძის, ნათელ ხსოვნას. მიხარია, რომ ტურნირში ბევრი ახალგაზრდაა ჩართული. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ, ისეთი ვაჟკაცის სახელს, როგორიც მერაბ არევაძეა და ვფიქრობ, დღევანდელი დღე სწორედ ამის დასტურია. მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაწილეებს.“ - აღნიშნა ბატონმა პაატამ.

ჯიცხის სკოლაში ინგლისურენოვანი ბანაკი გაიხსნა

25 აგვისტოს სოფელ კიცხის საჯარო სკოლაში ინგლისურენოვანი ბანაკი გაიხსნა. ბანაკის სამიზნე ჯგუფია 7 —17 წლის ბავშვები კიცხისა და მეზობელი სოფლების საჯარო სკოლებიდან. ბანაკი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება და მასში სულ 100-მდე ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. დღის ბანაკი „მშვიდობის კორპუსის“ ინიციატივით მოეწყო და მისი მიზანია, ბავშვებმა გამოიმუშაონ ის უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია მომავალი წარმატებისთვის.

თამარ წინილაშვილი, კიცხის საჯარო სკოლის დირექტორი: „ბანაკის ხელმძღვანელი ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე დანი ფერრი გახლავთ. მან ჩამოიტანა თავისი საგანმანათლებლო პროგრამა და ჩვენთან ერთად დაგეგმა ეს ერთი კვირაა. დანის ადგილობრივი ინგლისურის მასწავლებლები: ჟანა ნიშნიანიძე, სოფო გიორგაძე და თამარ წერეთელი ეხმარებიან. კომუნიკაბელურობა, ინგლისური წერითი და ზეპირი მეტყველება, გუნდური მუშაობა, კრიტიკული აზროვნება - ეს ის უნარებია, რომლის განვითარებას შეეცდება დღის ინგლისურენოვანი ბანაკი. ტარდება სახალისო მუსიკალური, სპორტული და ინტელექტუალური თამაშები. ბანაკი ასევე ხელს უწყობს მყარი მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხავადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის. დარწმუნებული ვარ,ეს ერთკვირიანი სწავლება ბანაკის მონაწილეებისთვის საინტერესო და ნაყოფიერი იქნება.“

ანა ბეგაძე (ბანაკის მონაწილე, მეთორმეტე კლასის მოსწავლე): ბანაკი ძალიან საინტერსო და სასარგებლოა: „ვფიქრობ, ინგლისურენოვანი ბანაკი ყველა მონაწილეს შეუწყობს ხელს, ენა უკეთ შეისწავლოს და სასაუბრო უნარები განავითაროს. იმედი მაქვს, რომ კიცხის სკოლა მსგავს პროექტებს კიდევ ბევრჯერ უმასპინძლებს.“

მარიანა ბურჯალიანი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12